



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია



თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000067562670020

№ 02-163-R

17 / სექტემბერი / 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დისტანციურ სწავლება/სწავლის პროცესთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიკაციისა სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ


საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 და მე-12 პუნქტების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში **დისტანციურ სწავლება/სწავლის პროცესთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიკაციის მიზნით** შეიქმნას სამუშაო ჯგუფი
2. სამუშაო ჯგუფში მუშაობა დაევალოს შემდეგ შემადგენლობას დისტანციური სწავლების დასრულების ვადით:
 - რუსუდან თაბაგარი, სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტი
 - ნოდარ მდივანი, კონსერვატორიის IT დეპარტამენტის სპეციალისტი
 - ნინი ქუთელია, რექტორის თანაშემწე
 - ერეკლე გურგენიძე, კონსერვატორიის სტუდენტი
 - ანნა ხარაიძე, კონსერვატორიის სტუდენტი
3. ჯგუფს დაევალოს კითხვარის შექმნა და ნინი ქუთელიასთვის მიწოდება
4. ნინი ქუთელიამ, რექტორის თანაშემწემ, უზრუნველყოს კითხვარის დაგზავნა ყოველ ფორმატით 3 მიზნობრივ ჯგუფთან: ა) სტუდენტები, ბ) პროფესორ-მასწავლებლები და მოწვეული პერსონალი, გ) ადმინისტრაცია
5. პასუხისმგებლობა საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფის წარმართვაზე დაეკისროს რუსუდან თაბაგარს (სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტს)
6. ჯგუფის ხელმძღვანელი რუსუდან თაბაგარი
 - ანგარიშვალდებულია საშემსრულებლო ფაკულტეტის და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანების წინაშე
 - ვალდებულია იდენტიფიცირებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია გადაუგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს
 - ვალდებულია პრობლემების მოგვარების შესახებ ინფორმაცია გადაუგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს
7. ორივე ფაკულტეტის დეკანი
 - პასუხისმგებელია სამუშაო ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების მოგვარებაზე
 - ვალდებულია გადაუგზავნოს ანგარიში შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით რექტორს, 2 კვირაში ერთხელ, ელექტრონული მართვის სისტემით
8. ბრძანება დაეგზავნოს სამუშაო ჯგუფის წევრებს, აგრეთვე კონსერვატორიის ყველა მიმართულების ხელმძღვანელს, დეკანის კოორდინატორებს

9. მიმართულების ხელმძღვანელებს დაევალოს მათ მიმართულებაზე არსებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება აღნიშნულთან დაკავშირებით.
10. ბრძანების კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის ვებ გვერდის ადმინისტრატორს
11. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის კანცელარს.
12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია 
ელექტრონულად

ნანა შარიქაძე